



 **პედიატრიული რეაბილიტაცია**

პროგრამის სახელწოდება	პედიატრიული რეაბილიტაცია
პროგრამის ხელმძღვანელები	ასოცირებული პროფესორი ზეინაბ სოფრომაძე, პროფესორი ირმა მანჯავიძე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	პედიატრიული რეაბილიტაციის მაგისტრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	120 ECTS კრედიტი
სწავლების ენა	ქართული
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე	პედიატრიული რეაბილიტაციის სამაგისტრო პროგრამის მიზანს წარმოადგენს მოამზადოს სპეციალისტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) ბავშვთა სამედიცინო რეაბილიტაციისათვის საჭირო ცოდნითა და ახალი პროფესიული უნარ-ჩვევებით.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	სამაგისტრო პროგრამაზე დაიშვება: <ul style="list-style-type: none"> • თსუ ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის კურსდამთავრებული, • საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებელთა ზემოაღნიშნული ფაკულტეტის ან მომიჯნავე სპეციალობების კურსდამთავრებული, • საზღვარგარეთის ქვეყნების ანალოგიური ფაკულტეტების ან მომიჯნავე სპეციალობების კურსდამთავრებული, რომელმაც გადალახა საერთო სამაგისტრო გამოცდის დადგენილი მინიმალური ზღვარი და წარმატებით ჩააბარა შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები სპეციალობასა და უცხოურ ენაში.
სწავლის შედეგი	სწავლების პირველი წლის ბოლოს მაგისტრს უნდა შეეძლოს ბავშვის ზრდა-განვითარების შეფასება და სამედიცინო მეთვალყურეობის მონიტორინგის წარმართვა. ბავშვის ზრდა-განვითარების დარღვევის დადგენა, ბავშვზე დისპანსერული

	<p>მეთვალყურეობა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის საფუძვლის განსაზღვრა მულტიდისციპლინარულ გუნთან ერთად.</p> <p>სწავლების მეორე წლის ბოლოს მაგისტრს უნდა შეეძლოს</p> <ul style="list-style-type: none"> განახორციელოს ბავშვის ზოგადი მდგომარეობის პირველადი შეფასება და განსაზღვროს კერძო სპეციალისტთა კონსულტირების აუცილებლობა, • მოამზადოს საფუძვლები შშმ სტატუსის განსაზღვრისათვის, • მიღებული ცოდნის შესაბამისად ჩაატაროს სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროცედურები (მასაჟი, ფიზიოთერაპიული პროცედურები, ფიზიკური თერაპიის კურსები, აღდგენითი პროცედურები და სხვ); • ჩაებას შშმ ბავშვის მულტიდისციპლინური გუნდის (პედიატრი, ბავშვთა ნევროპათოლოგი, ფსქიოლოგი და სხვა კერძო სპეციალისტები) მუშაობაში და მათ მიერ დაგეგმილი სამედიცინო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამის განხორციელებაში. • სპორტსმენ ბავშვებთან მუშაობის პროცესში მათი ფიზიკური მდგომარეობის, ზრდა-განვითარების და ფიზიკური შესაძლებლობების შეფასება; • სპორტსმენ ბავშვთა სკრინინგულ გამოკვლევასა და ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგში მონაწილეობა; • ფიზიკური დატვირთვების პროგრამის შერჩევა არსებული პათოლოგიის მიხედვით, მულტიდისციპლინური გუნდის ფარგლებში;
<p>სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები</p>	<ul style="list-style-type: none"> • ლექციები • სემინარები, დისკუსიები • კონკრეტული შემთხვევების გარჩევა (Case-study) • თეზისების მომზადება/პრეზენტაცია • მონაწილეობა შემოვლებში, კლინიკურ გარჩევებში, კლინიკურ კონფერენციებში • გუნდური მუშაობა შშმ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრში • ტესტირება • გამოცდა

<p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</p>	<p>სტუდენტის/მაგისტრანტის მიერ გაწეული შრომის შეფასება</p> <p>ითვალისწინებს:</p> <p>ა) შუალედურ შეფასებას (სტუდენტის შესასრულებელი ყველა სავალდებულო კომპონენტი, რომელიც გათვალისწინებულია სასწავლო კურსის/მოდულის სილაბუსის შესაბამისად);</p> <p>ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.</p> <p>სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, საიდანაც დასკვნითი გამოცდის მაქსიმალურ შეფასებას ეთმობა 40 ქულა. შეფასების მეთოდებიდან ძირითადად გამოიყენება:</p> <p>ტესტური, ზეპირი ან კომბინირებული შემაჯამებელი გამოცდა. არსებობს ხუთი სახის დადებითი და ორი სახის უარყოფითი შეფასება.</p> <p>დადებითი შეფასებებია:</p> <p>ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91-100 %;</p> <p>ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81- 90%;</p> <p>გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71- 80%;</p> <p>დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;</p> <p>ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;</p> <p>უარყოფითი შეფასებებია:</p> <p>ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.</p> <p>ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>თანაფარდობა შეფასების სხვადასხვა კომპონენტს შორის განისაზღვრება სამაგისტრო პროგრამის შემადგენელი ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსით. საბოლოო შეფასებაში (შუალედური და საგამოცდო შეფასებათა ჯამი) გამოცდის წილი არ აღემატება 40%.</p> <p>მაგისტრანტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 დღისა.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრიტერიუმებით, 100-ქულიანი სისტემით ხდება, აგრეთვე, პრაქტიკის, სამაგისტრო ან/და სხვა სახის ნაშრომების შეფასებაც.</p>
-------------------------------------------	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

	<p>სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საკვალიფიკაციო კომისიის წევრები სამაგისტრო ნაშრომს აფასებენ 0-100 ქულით. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება დგინდება სამაგისტრო ნაშრომების დაცვის საკვალიფიკაციო კომისიის წევრების მიერ მინიჭებულ ქულათა ჯამის საშუალო არითმეტიკულით.</p> <p>სამაგისტრო ნაშრომის 51 და მეტი ქულით შეფასებისას ნაშრომი ითვლება დაცულად შეფასების ქულათა შემდეგი გრადაციით:</p> <p>91-100 ქულა – საუკეთესო ნაშრომი, 81-90 ქულა – ძალიან კარგი ნაშრომი, 71-80 ქულა – კარგი ნაშრომი, 61-70 ქულა – საშუალო დონის ნაშრომი, 51-60 ქულა – დამაკმაყოფილებელი ნაშრომი, 0-50 ქულა – არადამაკმაყოფილებელი ნაშრომი.</p> <p>სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე საპატიო მიზეზით (ავადმყოფობა და სხვ.) გამოუცხადებლობის შემთხვევაში ნაშრომი დასაცავად შეიძლება წარდგენილ იქნეს 1 თვის განმავლობაში, ან სამაგისტრო ნაშრომების მომდევნო დაცვაზე, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს თანხმობით.</p> <p>საჯარო დაცვაზე სამაგისტრო ნაშრომის 51 ქულაზე ნაკლები შეფასების შემთხვევაში განმეორებითი დაცვა შესაძლებელია სამაგისტრო ნაშრომების მომდევნო დაცვაზე, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს თანხმობით.</p> <p>სამაგისტრო ნაშრომი დასაცავად შეიძლება წარდგენილ იქნეს არა უმეტეს ორჯერ, სასწავლო კომპონენტის შენახვით.</p>
--	----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

სასწავლო გეგმა

სწავლების პირველი წელი			
	სათაური/მოკლე შინაარსი	კრედიტები	სემესტრი
1	ექიმის, პაციენტისა და მშობლის ურთიერთობის სამართლებრივი და ბიოეთიკური საფუძვლები. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთან (შშმ) და მის ოჯახთან ურთიერთობის თავისებურებანი.	5	I
2	ინფორმაციული ტექნოლოგიები პედიატრიაში.	2	I
3	ბავშვის ზრდა-განვითარების დარღვევები, მართვა და რეაბილიტაცია; ახალშობილთა პათოლოგიები – შორეული გართულებების თავისებურებები და სარეაბილიტაციო ღონისძიებების დაგეგმვის კრიტერიუმები; ნერვული სისტემის თანდაყოლილი და შეძენილი პათოლოგიები. უნარშეზღუდულობის განსაზღვრის კრიტერიუმები და სარეაბილიტაციო მულტიდისციპლინური პროგრამები.	15	I
4	პედიატრიული სტაციონარი. დაავადებათა სადიაგნოსტიკო	4	I

	კრიტერიუმები შეზღუდული შესაძლებლობის მქონის სტატუსის განსაზღვრისათვის.		
5	რეაბილიტაციის პრინციპები და მეთოდები	5	I
6	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის სამედიცინო მომსახურების თავისებურებანი პირველადი ჯანდაცვის სისტემაში.	6	II
7	ჯანდაცვის ორგანიზაცია და ეპიდემიოლოგია. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა (და ბავშვებისათვის) სამედიცინო პროგრამების მოცულობა. დახმარების დანიშვნის კრიტერიუმები; მტკიცებითი მედიცინისა და სამედიცინო სტატისტიკის საფუძვლები.	7	II
8	კორექციული ფსიქოლოგიის საფუძვლები.	5	II
9	სამედიცინო რეაბილიტაცია ბავშვთა და მოზარდთა სხვადასხვა დაავადებების დროს	11	II
სწავლების მეორე წელი			
	სათაური/მოკლე შინაარსი	სემესტრი	კრედიტები
10	კვების თავისებურებები, დარღვევები და კორექციულ-სარეაბილიტაციო პროგრამები.	2	III
11	ყელ-ყურ-ცხვირის დაავადებათა მიმდინარეობის თავისებურებანი ბავშვთა და მოზარდთა ასაკში. სმენის დაქვეითებისა და თანდაყოლილი სიყრუს განვითარების მიზეზები, მართვა, საკორექციო სარეაბილიტაციო ღონისძიებების იმპლემენტაციის პრინციპები.	2	III
12	თვალის და მხედველობის მარეგულირებელი სისტემის განვითარების ასაკობრივი თავისებურებანი, მხედველობის დაქვეითებისა და სიბრმავის მიზეზები, მართვა და სამედიცინო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩვენებები.	2	III
13	პირის ღრუს თანდაყოლილი ანომალიები. ტრავმული და სხვა სახის დაზიანებათა მოსალოდნელი გართულებების კორექცია და რეაბილიტაცია.	2	III
14	ბავშვთა ქირურგიული პათოლოგიების, ტრავმის შემდგომი მდგომარეობის მართვა და რეაბილიტაცია.	2	III
15	ბავშვთა და მოზარდთა სპორტული ტრავმების რეაბილიტაცია	5	III
16	ბავშვთა ონკოპემატოლოგიური პათოლოგიები. ჩვენებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონის სტატუსისა და სარეაბილიტაციო ღონისძიებებისათვის.	2	III

17	ბავშვთა და მოზარდთა სამედიცინო რეაბილიტაციით მკურნალობის ჩატარების ფორმები და მათი ფუნქციური სინჯებით შეფასების მეთოდები	5	III
18	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სამედიცინო რეაბილიტაცია – მულტიდისციპლინური მიდგომა.	6	III
19	არჩევითი		
	კორექციული ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის პრინციპები	2	III
	სამედიცინო გენეტიკა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონის სტატუსის განმსაზღვრელი მემკვიდრული პათოლოგიები ბავშვთა ასაკში.	2	III
20	სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა	30	IV
სულ 120 კრედიტი (60 კრედიტი თითოეულ სასწავლო წელს)			